ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 30 დეკემბერი, 2016 წ.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდეგში, **„გამყიდველი“**) წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელის, თინათინ ჩაჩანიძის (პირადი №35001044334) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2016 წლის 30 დეკემბერს გაცემული №4/66215 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდეგში, „სამინისტრო“), წარმოდგენილი სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მიხეილ ჟიჟილაშვილის (პირადი №01023000664) სახით, მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №01-281/ო ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და **შპს „ალიანს მედი“** (ს/ნ 405108477) (შემდეგში, **„მყიდველი“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი თოხაძის (პ/ნ №01024028011) სახით, შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანების და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების შპს „ალიანს მედისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №2659 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - „ხელშეკრულება“)

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„გამყიდველი“ გადასცემს, ხოლო „მყიდველი“ საკუთრებაში იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ქ. ქარელში, ფანასკერტელის ქუჩა, №30-ში მდებარე 23,282.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ №1-№7 შენობა-ნაგებობებს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 68.10.45.028) (შემდეგში, „უძრავი ქონება“) „ხელშეკრულების“ 2.1; 3.1.1. და 3.1.2. მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით და „ხელშეკრულების“ №1 დანართით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას (შემდეგში, „მოძრავი ქონება“), „ხელშეკრულების“ 2.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების პირობით.

მუხლი 2. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

2.1. „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს „უძრავი ქონების“ საპრივატიზებო თანხის 342 644 (სამას ორმოცდაორი ათას ექვსას ორმოცდაოთხი) ლარის გადახდა „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არა უმეტეს 3 (სამი) თვის ვადაში, შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

2.1.1. „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში 114 215 (ას თოთხმეტი ათას ორას თხუთმეტი) ლარი;

2.1.2. „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან მეორე თვის დასასრულს 114 215 (ას თოთხმეტი ათას ორას თხუთმეტი) ლარი;

2.1.3. „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან მესამე თვის დასასრულს 114 214 (ას თოთხმეტი ათას ორას თოთხმეტი) ლარი;

2.2. „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს „მოძრავი ქონების“ საპრივატიზებო თანხის 10 000 (ათი ათასი) ლარის გადახდა „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.3. „ხელშეკრულების“ 2.1. და 2.2. მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხის გადახდა „მყიდველის“ მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

2.4. საპრივატიზებო თანხა გადახდილად ჩაითვლება მისი „გამყიდველის" ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

2.5. „მყიდველმა" საპრივატიზებო თანხის გადახდისას უნდა მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების №3 დანართით გათვალისწინებული ერთ-ერთი რეკვიზიტი იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.

2.6. ხელშეკრულების 2.3. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი" წერილობით აცნობებს „მყიდველს".

მუხლი 3. „მხარეთა" უფლება-მოვალეობები

3.1. უძრავ ქონებასთან დაკავშირებით „მყიდველი" ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს „სახელმწიფო ქონების შპს „ალიანს მედი +" -ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 30 ივლისის №30/07/03 განკარგულებით დადგენილი პირობების („სახელმწიფო ქონების შპს „ალიანს მედი +"-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 30 ივლისის №30/07/03 განკარგულებისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „ახალი კლინიკის" საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №2658 განკარგულებით (შემდეგში - **განკარგულება**) დადგენილი განსხვავებული პირობების გათვალისწინებით) შესრულება.

3.1.2. უზრუნველყოს „უძრავ ქონებაზე", „ხელშეკრულების" დანართი №2-ით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების მიწოდება „ხელშეკრულების" გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში და ამავე სერვისების მიწოდების უწყვეტად შენარჩუნება „ხელშეკრულების" 3.1.1. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე.

3.1.3. შესაბამისი სერვისების უწყვეტობის მიზნით გარდამავალ პერიოდში სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად ასარგებლოს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" (ს.კ 236035517) მოძრავი და უძრავი ქონებით. გარდამავალი პერიოდი იწყება

2017 წლის 1 იანვარს და გრძელდება მყიდველის მიერ „უძრავ ქონებაზე", „ხელშეკრულების" დანართი №2-ით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების მიწოდების უზრუნველყოფამდე, მაგრამ არაუგვიანეს გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან 3 (სამი) თვისა.

3.1.4. დაფაროს „ქონებაზე" საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში - „საჯარო რეესტრი") რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი;

3.1.5. დაიცვას „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები და „გამყიდველის" ან/და „სამინისტროს" მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს" ან/და „სამინისტროს" წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

3.2. „გამყიდველი" ვალდებულია „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „საჯარო რეესტრში" შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 4. „ხელშეკრულების" განსაკუთრებული პირობები

4.1. „მყიდველს" „მოძრავ ქონებაზე" საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების" ხელმოწერის მომენტიდან, ხოლო „უძრავ ქონებაზე" - „ხელშეკრულების" გაფორმების და საკუთრების უფლების „საჯარო რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, როგორც „უძრავ ქონებაზე" ასევე „მოძრავ ქონებაზე" საკუთრების უფლება „მყიდველს" გადაეცემა „ხელშეკრულებით" ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2. „მყიდველს" „უძრავი ქონება" მფლობელობაში გადაეცემა საკუთრების უფლების „საჯარო რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან.

4.3. „უძრავ ქონებაზე" საკუთრების უფლებასთან ერთად „საჯარო რეესტრში" რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.

4.4. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

ამასთან, „მოძრავი ქონება“ ხდება „მყიდველის“ უპირობო საკუთრება მას შემდეგ, რაც „გამყიდველი“ დაადასტურებს „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ 2.2. მუხლისა და მისგან გამომდინარე სხვა ვალდებულებების შესრულებას.

4.5. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების „გამყიდველის“ მიერ დადასტურება განხორციელდება „სახელმწიფო ქონების შპს „ალიანს მედი +“ -ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 30 ივლისის №30/07/03 განკარგულების (მასში შესული ცვლილებების (განსხვავებული პირობების) გათვალისწინებით) საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ალიანს მედი +“-ს შორის 2012 წლის 31 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდეგში - „31.07.2012 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება“) (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) განსაზღვრული წესით.

4.6. „ხელშეკრულების“ 3.1.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება განხორციელდება „გამყიდველის“ მიერ, „სამინისტროს“ მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება განხორციელდება შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.

4.7. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „უძრავი ქონების“ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი” ვალდებულია „უძრავი ქონება“ ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით“. „უძრავი ქონების“ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.8. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „უძრავი ქონების“ ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია „უძრავი ქონების“ ნაწილი ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით“. ამასთან, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან” ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. „უძრავი ქონების“ ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.9. „მყიდველი“ უფლებამოსილია „გამყიდველის“ წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით,

იპოთეკით დატვირთოს „უძრავი ქონება". ამასთან, „უძრავი ქონების" იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში, იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული „უძრავი ქონების" იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მყიდველის" ვალდებულებები.

4.10. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდამდე, „მყიდველს" არ აქვს უფლება „უძრავი ქონება" ან/და „მოძრავი ქონება" განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ხელშეკრულების" 4.9. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

4.11. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველს" უფლება არ აქვს „გამყიდველთან" შეთანხმების გარეშე „უძრავი ქონება" გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს.

4.12. „მყიდველი" არ თავისუფლდება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით" ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული მესამე პირ(ებ)ის იმ ქმედებ(ებ)ისათვის, რამაც გამოიწვია აღნიშნული ვალდებულებების დარღვევა.

მუხლი 5. „მხარეთა" პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების" შეწყვეტა

5.1. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი.

5.2. „ხელშეკრულების" 2.1. მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. „ხელშეკრულების" 2.2. მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების

შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს ჯამში 1 მილიონი ლარისა.

5.5. „ხელშეკრულების“ 3.1.2. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.6. „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.7. „ხელშეკრულების“ 3.1.5 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების თითოეულ ჯერზე შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5.8. „მყიდველის” მიერ „ხელშეკრულების” 2.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დამატებით ვადაში შეუსრულებლობის ან მისი დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“ „მოძრავი ქონების“ ნაწილში. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება რჩება მოქმედი „უძრავი ქონების“ ნაწილში, „მოძრავი ქონება“ ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში და „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება „ხელშეკრულების” 2.2 მუხლის საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით გადახდილი თანხები ან „მოძრავ ქონებაზე“ გაწეული დანახარჯები, ხოლო „მოძრავ ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) გირავნობის უფლება (უფლებები) უქმდება.

5.9. „მყიდველის” მიერ „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული, „უძრავ ქონებასთან“ დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულებ(ებ)ის განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“. „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „უძრავი

ქონება“ ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში. „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „უძრავ ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

5.10. „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

5.11. „31.07.2012 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების“, (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) იმავე ხელშეკრულების 5.5. მუხლის შესაბამისად შეწყვეტა იწვევს „ხელშეკრულების“ შეწყვეტას „უძრავი ქონების“ ნაწილში. აღნიშნულ შემთხვევაში, „მყიდველს“ დაეკისრება პირგასამტეხლო 1 (ერთი) მილიონი ლარის ოდენობით. ამასთან, „უძრავი ქონება“ ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში. „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „უძრავ ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის” კონტროლის ფარგლებს და შესაბამის „მხარეს“ არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

6.2. „მხარე”, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს” ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე” კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების" შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 7. შეტყობინებები

7.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს" შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

7.2. „ხელშეკრულების" მიზნებისათვის, „მხარეთა" რეკვიზიტებია:

7.2.1. **„გამყიდველის" შემთხვევაში:**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქუჩა №10ა, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 298 11 11 / +995 32 299 11 11

7.2.2. **„სამინისტროს" შემთხვევაში:**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მისამართი: ა. წერეთლის გამზირი №144, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 251 00 33

7.2.3. „მყიდველის“ შემთხვევაში:

შპს „ალიანს მედი“

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №83 თბილისი, საქართველო

ტელ: +995 577 00 56 56

7.3. „მყიდველი“ ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

7.4. „ხელშეკრულების“ 7.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ ზედიზედ ორჯერ ვერ მოხდება „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის“ ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის“ ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

8.1. „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. „მხარეთა“ შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1. „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობით, „ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის გზით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის“.

9.2. „ხელშეკრულების“ ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

9.3. სათაურები „ხელშეკრულებაში“ მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

9.4. „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“.

9.5. „ხელშეკრულება“ გაფორმებულად ითვლება „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„გამყიდველი“
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტო

წარმომადგენელი:
თინათინ ჩაჩანიძე

„სამინისტრო“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

წარმომადგენელი:
მიხეილ ჟიჟილაშვილი

„მყიდველი“
შპს „ალიანს მედი“
წარმომადგენელი:
გიორგი თოხაძე

ქარელი, ფანასკერტელის 30-ში, სამედიცინო დაწესებულებაში არსებული ინვენტარი

დანართი N1

	დასახელება	რაოდენობა	დისლოკაციის ადგილი
1	ტრანსფორმატორი	1	ქარელი
2	ტრანსფორმატორი	1	ქარელი
3	ავტოკლავი	1	ქარელი
4	ბინოკულარული ოფთალმოსკოპი	1	ქარელი
5	გლუკომეტრი	1	ქარელი
6	დეფიბრილატორი	1	ქარელი
7	დეფიბრილატორი	1	ქარელი
8	ელექტროკოაგულატორი	1	ქარელი
9	ელექტროკოაგულატორი	1	ქარელი
10	ელექტროსაქაჩი	1	ქარელი
11	ელექტროსაქაჩი	1	ქარელი
12	ელექტროსაქაჩი	1	ქარელი
13	ელექტროსაქაჩი, პატარა	1	ქარელი
14	ვაკუმ-ასპირატორი	1	ქარელი
15	კარდიოგრაფი	1	ქარელი
16	კარდიოგრაფი	1	ქარელი
17	ბავშვის გულისცემის მოსასმენი	1	ქარელი
18	ნეგატოსკოპი	1	ქარელი
19	პულსოქსიმეტრი	1	ქარელი
20	ჟანგბადის მარეგულირებელი	1	ქარელი
21	ჟანგბადის კონცენტრატორი	1	ქარელი
22	ჟანგბადის კონცენტრატორი	1	ქარელი
23	ჟანგბადის კონცენტრატორი	1	ქარელი
24	ჟანგბადის კონცენტრატორი	1	ქარელი
25	ჟანგბადის კონცენტრატორი	1	ქარელი
26	ჟანგბადის მარეგულირებელი	1	ქარელი
27	რენტგ-პორტატული აპარატი	1	ქარელი
28	რენტგ-პორტატული აპარატი	1	ქარელი
29	სასუნთქი აპარატი 1985 წ.	1	ქარელი
30	სასუნთქი აპარატი	1	ქარელი
31	ახალშობილის სასწორი	1	ქარელი
32	ელექტროსაქაჩი	1	ქარელი
33	მშრალი სტერილიზატორი	1	ქარელი
34	ცენტრიფუგა	1	ქარელი
35	სისხლის ანალიზატორი	1	ქარელი
36	ანალიზატორი	1	ქარელი

37	ახალშობილის გამათბობელი	1	ქარელი
38	გლუკომეტრი	1	ქარელი
39	გლუკომეტრი	1	ქარელი
40	ელექ-სტერილიზატორი, შპრიცებ	1	ქარელი
41	ელიქ-სტერილიზატორი, შპრიცებ	1	ქარელი
42	ელექ-სტერილიზატორი, შპრიცებ	1	ქარელი
43	ელექ-სტერილიზატორი, შპრიცებ	5	ქარელი
44	თერმოსტატი	1	ქარელი
45	თერმოსტატი	1	ქარელი
46	ინაქტივატორი	1	ქარელი
47	ლაბორატორიული მთვლელი	1	ქარელი
48	ლაბორატორიული მთვლელი	1	ქარელი
49	ლაბორატორიული მთვლელი	1	ქარელი
50	მხედველობის სიმახვილის საზომი	1	ქარელი
51	ნაპრალოვანი სანათი მაგიდით	1	ქარელი
52	ოპტიკური მიკროსკოპი	1	ქარელი
53	ოპტიკური მიკროსკოპი	1	ქარელი
54	ოპტიკური მიკროსკოპი	1	ქარელი
55	ოპტიკური მიკროსკოპი	1	ქარელი
56	ახალშობილის სასწორი	1	ქარელი
57	ახალშობილის სასწორი	1	ქარელი
58	სათვალის ნაკრები	1	ქარელი
59	სტერლიზატორი, კარადა	1	ქარელი
60	ფერტესტის აპარატი	1	ქარელი
61	ცენტრიფუგა	1	ქარელი
62	ცენტრიფუგა	1	ქარელი
63	ცენტრიფუგა	1	ქარელი
64	ცენტრიფუგა	1	ქარელი
65	ცენტრიფუგა	1	ქარელი
66	ავტოკლავი პატარა	1	ქარელი
67	ავტოკლავი პატარა 2004 წ.	1	ქარელი
68	ავტოკლავი, საშუალო ზომის 2011 წ.	1	ქარელი
69	ბავშვის გულისცემის მოსასმენი	1	ქარელი
70	დეფიბრილატორი	1	ქარელი
71	ექოსკოპიის აპარატი	1	ქარელი
72	ექოსკოპიის აპარატი	1	ქარელი
73	ექოენცეფასოსკოპი	1	ქარელი
74	ექოსკოპიის აპარატი პორტატული	1	ქარელი
75	ახალშობილის ინკუბატორი	1	ქარელი
76	მონიტორი პაციენტის	1	ქარელი
77	მონიტორი პაციენტის 2008 წ	1	ქარელი
78	მონიტორი პაციენტის	1	ქარელი
79	მონიტორი პაციენტის	1	ქარელი
80	ოპტიკური მიკროსკოპი ელექტროგანათებით	1	ქარელი
81	რენტგენის კარადა	1	ქარელი
82	რენტგენის სკანერი	1	ქარელი
83	სუნთქვის აპარატი 2008	1	ქარელი

84	სასუნთქი აპარატი	1	ქარელი
85	სპირომეტრი	1	ქარელი
86	სტერლიზატორი	1	ქარელი
87	მშრალი სტერილიზატორი	1	ქარელი

	დანართი 2
N	**სამედიცინო სერვისები**
	სტაციონარი
1	ინფექციური დაავადებების მკურნალობა
2	სამეანო და ნეონატოლოგიური მომსახურება
3	ქირურგიული პროფილის მომსახურება
4	სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის მომსახურება
5	რეანიმაციული მომსახურება
6	რადიოლოგიური, მათ შორის, რენტგენოლოგიური მომსახურება
7	ოფთალმოლოგიური მომსახურება
8	ოტორინოლარინგოლოგიური მომსახურება
9	თერაპიული მომსახურება
10	ნევროლოგიური მომსახურება
11	პედიატრიული მომსახურება
	ამბულატორია
12	ფთიზიატრია
13	დერმატო-ვენეროლოგია

დანართი №3:

„მყიდველის“ მიერ ანგარიშსწორებისას მისათითებელი რეკვიზიტები:

1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი

3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი